„წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების გზების ძიება III-IV კლასებში”.

/საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში/

გულიკო ბოჭორიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელ სორმონის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასის მასწავლებელი

2018-2019წწ

სარჩევი

შესავალი ----------4

Iთავი----------5

1.1. პრობლემის აქტუალობა ----------5

1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა ----------6

II თავი ----------7

2. ლიტერატურის მიმოხილვა ----------7

III თავი ----------18

3.1. კვლევის მიზნები ----------18

3.2. კვლევის ამოცანები ----------19

IVთავი ----------19

4.1. კვლევის მეთოდების განხილვა ----------19

4.2. კვლევის მონაცემთა შეგროვება ----------19

4.3. მონაცემთა ანალიზი ----------21

კვლევის ვადები ----------24

Vთავი ----------25

5.1. ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება ----------25

ინტერვენცია 1. „მნიშნელოვანი სიტყვები“----------25

ინტერვენცია 2. როლური თამაშები“ ----------26

ინტერვენცია 3. „მკითხველთა თეატრი“ ----------27

ინტერვენცია 4. „ წაკითხვა და შეკითხვის დასმა“ ----------28

ინტერვენცია 5. „სადისკუსიო ქსელი“----------29

5.2. ინტერვენციის შდეგის ანალიზი----------29

VI თავი ----------30

6.1. მიგნებები და რეკომენდაციები ----------30

6.2. პრაქტიკული კვლვის არსი ----------32

6.3. დასკვნა ----------32

ბიილიოგრაფია ----------34

დანართები ----------35

რეფლექსია ----------

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის გულიკო ბოჭორიშვილის მიერ განხორციელებულ კვლევის ანგარიშს თემაზე „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების გზების ძიება III-IV კლასებში".

კვლევის მიზანია: გავაუმჯობესო გააზრებული კითხვის უნარი დაწყებით კლასებში.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა, ამავე სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები.

იმისათვის , რომ მიმეღწია ესგ-თი გათვალისწინებული მოთხოვნებისათვის უწყვეტად ვაკვირდებოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებს. გამოვკვეთე პრობლემა, გავეცანი შესაბამის ლიტერატურას, შევხვდი კოლეგებს და გავიარე კონსულტაციები მათი პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ.

კვლევაში საუბარია მოსწავლეთა მიერ წაკითხული ტექსტის და არამარტო ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემებზე, სწავლა-სწავლების ხარისხზე. კვლევის უმთავრესი დანიშნულებაა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი გადაჭრის გზების ძიება. შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. დასკვნით ნაწილში გაიცემა პრაქტიკული რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის, მოხდება მიღწეული შედეგების შეფასება და ანალიზი.

ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისაგან:

I თავი- პრობლემის აქტუალობა და საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

IIთავი - ლიტერატურის მიმოხილვა.

III თავი - კვლევის მიზნები, ამოცანები.

IV თავი - კვლევის მეთოდების განხილვა, კვლევის მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, კვლევის ვადები.

V თავი - ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, ინტერვენციების შედეგის ანალიზი.

VI თავი - მიგნებები და რეკომენდაციები, პრაქტიკული კვლევის არსი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია,

I თავი

1.1. პრობლემის აქტუალობა

საკვანძო სიტყვები: კითხვა, სწავლა, გააზრება, უნარები, აზროვნება

კითხვის უნარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის შემდგომ ინტელექტუალურ განვითარებასა და საყოფაცხოვრებო აზროვნების დონის განსაზღვრაში. დაწყებითი კლასები კი სწორედ ის ეტაპია, როდესაც მოსწავლეს სწორად უნდა ჩამოუყალიბდეს კითხვის უნარი და თავისუფლად შეძლოს წაკითხული ტექსტის გააზრება, რაც სამომავლო ანალიტიკური აზროვნების მთავარი საფუძველია. ერთი შეხედვით მარტივი პრობლემა ხშირად მოსწავლის დემოტივაციისა და პასიურობის მიზეზად გადაიქცევა ხოლმე. სხვადასხვა საგნებში დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელიც იმ მოსწავლეებზე მოდის, ვისაც საწყის ეტაპზე კითხვისა და გააზრების უნარები სწორად არ ჩამოუყალიბდათ. აღნიშნული თემით ჩემი დაინტერესება საკითხის აქტუალობამ განაპირობა. ამავე დროს კვლევის საფუძველი გახდა დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარება, რომელმაც მაჩვენა, რომ მოსწავლეებს კითხვის პრობლემებთან ერთად ჰქონდათ ტექსტის გაგება- გააზრების პრობლემაც.

ამ პრობლემის გამოსწორების მიზნით, მათ საინტერესო და ადვილად გასაგები კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა მივეცი. ჩემი მიზანი იყო გამომერკვია, კითხვისას პრობლემას რა

ქმნიდა- ტექსტის სირთულე თუ მოცულობა?. ამიტომ საკითხში გასარკვევად მშობლებისა და კოლეგების ჩართულობით კვლევის განხორციელება გადავწყვიტე .

წინასწარმა გამოკითხვამ გამოკვეთა სხვადასხვა სავარაუდო მიზეზები:

- ერთ-ერთი სირთულე დროის ფაქტორია, მოსწავლეებს აღარ რჩებათ დრო კითხვისთვის. მათი მიზანია დროულად მოამზადონ საშინაო დავალება და დამატებით წიგნის კითხვაზე აღარ ზრუნავენ.
- შემდეგ მიზეზად ისიც შეიძლება დავასახელოთ, რომ არ უზიარებენ წაკითხულ ნაწარმოებს არც თანატოლს, არც მასწავლებელს და არც მშობელს.
- წასაკითხი ტექსტის მიცემის დროს ინსტრუქციის სწორად არ მიცემა. (რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებაში დაეხმარება)
- კითხვის პრობლემაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს წასაკითხი ტექსტის სირთულე, თუ მოცემული ტექსტი მოსწავლეთა შესაძლებლობების ადეკვატური არ არის.

1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

კვლევა ვაწარმოე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის III-IV კლასებში.

აღნიშნულ სკოლაში ვმუშაობ 1998წლიდან დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 2012 წელს მომენიჭა უფროსი მასწვლებლის სტატუსი, რამაც კარიერული ზრდის შესაძლებლობა მომცა. განათლებასთან დაკავშირებული საკითხის კვლევით დინტერესებაც სწორედ ამან

განაპირობა. ჩემი მიზანია, დავაკვირდე მოსწავლეებში კითხვისა და გააზრების უნარების განვითარებას და ეტაპობრივად გამოვასწორო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. ჩემი თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, კითხვის პრობლემა ჩემი მოსწავლეების გარკვეულ რაოდენობაში ხშირად იჩენს ხოლმე თავს.

კვლევა "წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების გზების ძიება" განვახორციელე მესამე და მეოთხე კლასებში. ყურადღება გავამახილე კითხვის ერთ-ერთ კომპონენტ გააზრებაზე (გაგება, გაანალიზება). გადავწყვიტე გამეკვლია ჩემს მოსწავლეებში ამ კომპონენტის მდგომარეობა, არსებული პრობლემები, მისი გამომწვევი მიზეზები და მომეძებნა გადაჭრის ეფექტიანი გზები, შემეჯამებინა მიღწეული შედეგები.

ვფიქრობ, ეს კვლევა სასარგებლო იქნება როგორც ჩემთვის და ჩემი მოსწვლეებისათვის, ასევე კოლეგებისათვისაც, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, მსგავსი პრობლემები კითხვაში მათ მოსწავლეებსაც აქვთ.

სარგებელი მოსწავლეებისათვის:

- შეძლებენ ნებისმიერი შინაარსისა და სიდიდის ტექსტები წაკითხვასა და გაგებას.
- გამოუმუშავდებათ გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევები.

სარგებელი მასწავლებლისათვის:

- შევძლებ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას და შესაბამისად მოქმედებას.
- დავაინტერესებ მოსწავლეებს და ავუმაღლებ მოტივაციას.
- შევძლებ დავნერგო მრავალფეროვანი სტრატეგიები რათა მოსწავლეებში განვავითარო გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევა.
- ჩავატრებ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით და გავიუმჯობესებ საკუთარ პრაქტიკას.

სარგებელი კოლეგისათვის:

- იხელმძღვანელებს ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშით და მოაგვარებენ კითხვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

II თავი

2. ლიტერატურისმიმოხილვა

საკვლევი თემის არჩევის შემდეგ პირველი, რაც მიზნად დავისახე, იყო ეროვნული სასწავლო გეგმის განხილვა-გაანალიზება. რომლის ფუნდამეტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება და გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნობრივი პროგრამის მიხედით, სამი მიმართულებით განიხილება მოსწავლის შესაძლებლობები. ესენია: 1. ზეპირმეტყველება; 2. კითხვა; 3. წერა. ამ შემთხვევაში კითხვის მიმართულებით გავამახვილე ყურადღება. სტანდარტის მიხედვით დაწყებითი კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ინფორმაციის გაგება და ანალიზი,
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გადმოცემა;
- წაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად წაკითხვა;
- სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება.

სტანდარტის მიხედვით მესამე- მეოთხე კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- მოსწავლე ამოიცნობს ტექსტის თემას;
- ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- საკუთარი სიტყვებით, თანმიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს.

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი;
- ხმამაღლა თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ტექსტებს;

ქართ.დაწყ.((I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება- გააზრება;

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს(მთავარ იდეას);
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის მოკლე შინაარსს;
- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციდურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმდებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განავრცობს მოკლედ გადმოცემულ ამბავს;
- გადმოცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით;
- საბავშვო სპექტაკლისათვის ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს;
- წარმოადგენს მიმიკურ მიზანსცენებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის/ეპიზოდების საფუძველზე(თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად).

ქართ. დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ავლენს მხატვრული ტექსტებისესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- აკავშირებს ტქსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა/ რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქიელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა).
- მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის აადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

ქართ. დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- აკვირდება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, უკავშირებს მას წინარე ცოდნას და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში;
- უბრუნდება ტექსტის შესაბამის /სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნბული;
- აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს(ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.);
- ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს(ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.

ეს შედეგები წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებაზე გამიყვანს.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმისა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გავცნობოდი სხვა კვლევებს და მეთოდურ ლიტერატურას, როგორც ბეჭდურ ისე ელექტრონულ ფორმატში. გავეცანი „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის მე-2 ნაწილს,“ რომელმაც დამანახა გზა, რა მიდგომებით განმეხორციელებინა კვლევა. შემიქმნა წარმოდგენა ყველა იმ ეტაპისა, რომელიც უნდა გავიარო პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების დროს.

გავეცანი სოფიკო ლობჟანიძის სტატიას ინტერნეტ გაზეთიდან „მასწავლებელი“- ,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“(3 მაისი, 2012წ), რომელშიც საუბარია ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევაზე. რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა გამოყენებითი კვლევაა. სწორედ მისი საშუალებითაა შესაძლებელია პედაგოგიური პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრის გზის დასახვა. პრაქტიკის კვლევა მარტო სირთულეების გადალახვას არ ისახავს მიზნად, არამედ მისი საშუალებით არის შესაძლებელი ახალი იდეების, ინოვაციების, საკუთარი ძალების-პოტენციალის აღმოჩენა.

სწორედ ავტორისგან შევიტყვე, რომ არსებობს ორი სახის კვლევის მეთოდი: თვისობრივი და რაოდენობრივი. რომლის საშულებითაც გროვდება ინფორმაცია საკვლევ საკითხზე.

გავეცანი აგრეთვე PIRLS -ის კვლევას, რომელმაც საგანგაშო ინფორმაცია გამოაქვეყნა. „საქართველოშიმოსწავლეთა 14%-ს წაკითხულის გააზრება მინიმალურ დონეზეც არ შეუძლია“.

საქართველოში PIRLS- ის კვლევის ფარგლებში შერჩეული იყო 200 სკოლა და დაახლოებით 6 ათასამდე მოსწავლე, მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები.

კვლევის მიხედვით, წაკითხულის გააზრებას უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეთა მხოლოდ 2% ახერხებს. უმაღლესი საფეხური გულისხმობს, რომ მოსწავლე გაწაფულია კითხვაში. ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია როგორც ლიტერატურული, ისე საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება, გააზრება და ანალიზი, საუბარია ასაკთან შესაფერის ტექსტებზე.

მაღალ საფეხურზეა მოსწავლეთა 22%,

საშუალო საფეხურზე - 36%

დაბალ საფეხურზე - 26%

კრიტიკული ზღვარი - 14%, ეს არის ბავშვების მასა, რომლებიც მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას.

„ეს, რა თქმა უნდა, საგანგაშო ციფრია, რადგან თუ ჩვენ მიღწევის დაბალ საფეხურზე მყოფ ბავშვებს შევხედავთ, რომლებიც მხოლოდ დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს ართმევენ თავს, რომელთა საერთო რაოდენობაც 20%-ზე მეტია და ამას

დავუმატებთ კრიტიკულ ზღვართან მყოფთა რაოდენობას, პრინციპში, ჩვენ რისკის შემცველი ბავშვების ძალიან დიდი რაოდენობა გვყავს," - აცხადებს გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი და კვლევითი დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე."

PIRLS -ის კვევებში სულ 60-მდე ქვეყანა მონაწილეობდა, დაახლოებით 319 ათასი მოსწავლე, ამდენივე მშობელი, 16 ათასამდე მასწავლებელი და 12 ათასამდე სკოლის დირექტორი.

წინა კვლევების დროს, 2006 და 2011 წლებში, ქართველმა მოსწავლეებმა არც თუ ისე სახარბიელო შედეგები აჩვენეს. კერძოდ მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი - 488 მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს. 2011 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა.

(https://edu.aris.ge/news/moswavleta-14s-wakitxulis-gaazreba-minimalur-donezec-ar-sheudzlia-pirlsis-uaxlesi-kvlevis-sagangasho-shedegi-saqartvelostvis.html)

კვლევაზე მუშაობისას საკვლევი თემის უკეთ გააზრებისა და ადეკვატური ინტერვენციების დასაგეგმად გადავწყვიტე, გავცნობოდი შესაბამის ლიტერატურას.

წიგნიერება

წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო კომპეტენციაა. წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა, როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე სკოლისშემდგომ ასაკში.

წიგნიერების ერთ შეთანხმებულ განმარტებას ვერ ვნახვთ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს წიგნიერება ნიშნავს მრავალფეროვნი ტექსტების გამართულად წაკითხვის, გაგება-გააზრების და ინტერპრეტაციის, ასევე, სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნის უნარს. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, როგორც განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ

კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობას. წიგნიერების ცნება გულისხმობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის პოტენციალს, მიაღწიოს მიზანს, გაიღრმაოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამდენად, თანამედროვე გაგებით, წიგნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ უნარებთან, როგორიცაა: ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ. ტექსტების მრავალფეროვნებაში, ძირითადად, იგულისხმება, ერთი მხრივ, მხატვრული ან თხრობითი (მაგ.;მოთხრობა, იგავი, ლექსი, მითი და ა.შ.) და, მეორე მხრივ, საინფორმაციო ან ინსტრუქციული (მაგ.; საბუნებისმეტყველო ტექსტი, კვლევა, ესეი, წერილი და ა.შ.) ტექსტები. არის ტექსტები, რომლებიც შეიძლება ერთ კატეგორიაშიც შევიყვანოთ და მეორეშიც. ვინაიდან ორივე ტიპის ტექსტის ნიშან-თვისება გააჩნია.

ცალკე საუბრობენ ე.წ. ფუნქციური წიგნიერების შესახებ, რაც ყოველდღიური ყოფაცხოვრებისათვის საჭირო წერა-კითხვის კომპეტენციის მინიმუმს გულისხმობს.

წერა-კითხვის სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზეპირი კომუნიკაციის, ანუ მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარებაზე. ადრეულ ასაკში ბავშვი ზეპირი კომუნიკაციის პროცესში აცნობიერებს წერისა და კითხვის დაწყებისთვის აუციებელ ფონეტიკურ პრინციპებს, ბგერების შერწყმის შესაძლებლობებს.

თუ ბავშვის გარემოში ზეპირი კომუნიკაცია და ტექსტთან შეხება მიზეზთა გამო შეზღუდულია, სასკოლო ასაკში სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით .ხოლო ინფორმაციის მოცულობის ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება. საბოლოოდ მივდივართ წაკითხულის გაუაზრებლობამდე, კითხვის მოტივაციის სრულ დაცემამდე, საკუთარი წარუმატებლობის განცდამდე, რაც სწავლას ყველა საგანში აფერხებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წიგნიერების ცნების ხელახლა გააზრებისა და წერა-კითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

ხაზგასმით აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი: წიგნიერებას, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელ ერთეულსა და სტრატეგიულ მიზანს, საგანგებო ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

(პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია, გამომცემლობა მწიგნობარი 2012წ. გვ.5,6.)

ამრიგად, ვფიქრობ აღნიშნული ლიტერატურა დამეხმარება სწორად განვსაზღვრო კითხვის ეფექტური მეთოდების როლი საგაკვეთილო პროცესში და შდეგზე ორიენტირებით აქტიურად გამოვიყენო ისინი. ამასთანავე, აუცილებლად გავითვალისწინო მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარება და აღნიშნული მიმართულებით შესაბამისად ვიმუშაო .

იმისათვის, რომ თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრება გაუმჯობესდეს და წარმატებული იყოს, გავეცანი დამხმარე მეთოდურ მასალას საქართველოს სკოლების მასწავლებლებისთვის „კითხვის ეფექტური მეთოდები“. მასში მოცემულია კითხვის სწავლებისა და სწავლის საუკეთესო, მრავალგზის აპრობირებული მეთოდები. ყოველდღიურ პრაქტიკაში მათი აქტიური გამოყენებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსწავლეთა კითხვით უნარ-ჩვევებს.

„თანამედროვე ქართულ სკოლაში კითხვის სწავლების აქტუალობაზე ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო გავამახვილეთ. კერძოდ:

- ეფექტური კითხვის უნარი, პრაქტიკულად ყველა საგანში, სწავლისა და აკადემიური წარმატების ფუნდამენტია, ვინაიდან მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის ტექსტებთან უწევთ მუშაობა, კითხვის სწავლება სცილდება მშობლიური ენის პროგრამის ფარგლებს.
- კვლევები ცხადყოფს, რომ თუ ბავშვმა ცხრა წლის ასაკს ისე გადააბიჯა, რომ კითხვის საბაზისო უნარები არასათანადოდ ჩამოუყალიბდა, მისი შემდგომი აკადემიური მოსწრება დიდი საშიშროების წინაშე დგება. კითხვაში წარუმატებელი ბავშვების უმრავლესობა დამთავრებამდე წარუმატებელ მოსწავლედ რჩება. კითხვის უნარის განმტკიცება დაწყებითი საფეხურის გავლის შემდეგაც, საბაზო და საშუალო საფეხურებზეც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გულისხმობს სასწავლო პროცესის გამდიდრებას ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით.

- ბოლო წლების განმავლობაში საქართველოშიც დაგროვდა კითხვის/წიგნიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კითხვის მეთოდების დანერგვაში. იმართება კითხვის სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები, ხორციელდება ტრენინგ-პროგრამები, იბეჭდება სპეციალური ლიტერატურა."

(კითხვის ეფექტური მეთოდები (სასწავლო-მეატოდური ფილმი დ გზამკვლევი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გვ.6)

გავეცანი მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება".

აზროვნების განვითარების ზოგადი მიდგომები

აზროვნების სწავლება საკმაოდ ძველი იდეაა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ბერძენი ახალგაზრდები სწვლობდნენ მათემატიკასა და ფილოსოფიას აზროვნების გავარჯიშების მიზნით.

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების - კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების - სწავლებაზე.

მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალლოდ დამახსოვრება - გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან (ინფორმაციის შენარჩუნება) ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორედ აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი, სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და შესაბამისად, მას უჭირს რაიმეს სწავლა.

გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეს ეხმარება აზროვნების ამოქმედებაში. განათლების სპეციალისტი დ. პერკინსის (Perkins, 1992) „თეორია ერთი“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რის სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. „თეორია ერთის“ მიხედვით, რაიმეს კარგად შემეცნება მოითხოვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას:

1. **ნათელი ინფორმაცია:**მიზნების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
2. **აზრიანი პრაქტიკა:** აქტიური პრაქტიკა იმაში, რასაც მოსწავლე სწავლობს;
3. **გამოხმაურება:** რჩევები და შეფასება, რათა მოსწავლემ უკეთეს შედეგს მიაღწიოს;
4. **ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია:** დამაჯილდოებელი აქტივობები ან დავალებები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა მოსწავლისათვის ან ეხმარება მას სხვა მიზნების მიღწევაში;

„თეორია ერთის“ საკლასო პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ნათელი ინფორმაციის და შესაბამისი გამოხმაურების მიწოდებას, არიანი პრაქტიკის უზრუნველყოფას, რაც აღძრავს მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას(Perkins,1992). განათლების ფსიქოლოგების (Roehler, Duffy, etc.,1987) მიხედვით, ნათელი ინფორმაცია მოიცავს იმას, თუ „რა“, „როგორ“ და „როდის“ უნდა გაკეთდეს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა მიწოდებული ინფორმაცია. მათი შეცდომების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი ცდილობს იპოვოს ის გზები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიგონ მოცემული საკითხი. ქვემოთ განვიხილოთ საკლასო პრაქტიკის მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნების ამოქმედებას და შესაბამისად, ეხმარება მოსწავლეს საკითხის უკეთ გაგებაში.

საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სააზროვნო პროცესში ჩართვა, რაც გულისხმობს შემდეგს: მოსწავლეების მიერ, არა მარტო ცოდნის დაგროვება - „რა მოხდა?“, არამედ „რატომ მოხდა?“. თუმცა, მხოლოდ შეკითხვის

სწორად ფორმულირება არ არის საკმარისი. აზროვნების ამოქმედება მიწოდებული ინფორმაციის ოდენობაზეც არის დამოკიდებული. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორაა განთავსებული ინფორმაცია სასწავლო მასალაში...

„თეორია ერთის“ ამოქმედებას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები:

- დიდაქტიკური;
- სოკრატული;
- კეთებით სწავლება;
- სოციალური (კოოპერატიული და თანამშრომლობითი) სწავლება; რომლებიც ეხმარება მოსწავლეს აზროვნების აქტივაციაში.

დიდაქტიკური სწავლება

დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს ინფორმაციას ვაწვდით დიალოგის ფორმით. მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსწავლეების ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა? რატომ? სად?

ამ დროს მოსწავლისათვის ნათელია სასწავლო მიზნები, მან იცის, როდის ითვლება მიზანი მიღწეულად. მასწავლებელს ცნების ასახსნელად მოჰყავს მაგალითები, ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი - ორივე მონაწილეობს და ერთად აგებს ახალ ცოდნას.

სოკრატული სწავლება

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) შეკითხვებს (მაგ., რას ფიქრობ ამაზე? რა განმარტებები გვჭირდება ამისთვის?), არ აწოდებს არანაირ ინფორმაციას მოსწავლეებს. ამ დროს მასწავლებელი განიხილავს გამონაკლისებს და მარტივ იდეას ეჭვქვეშ აყენებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ მათ სთხოვს აზროვნებას, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიით, დებატებით, პრობლემური შეკითხვების დასმით და სხვა. ზოგჯერ მასწავლებელს მოჰყავს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ

აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ხელს უწყობს იმ პასუხების ეჭვქვეშ დაყენებას, რომელსაც გვაძლევენ სხვადასხვა ავტორიტეტები და სხვა.

მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და პრობლემასთან დაკავშირებით, თამამად თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს.

კეთებით სწავლება

კეთებით სწავლების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება და არა ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას.

ამ მეთოდის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს გამოხმაურებას(უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი და მან მართლაც გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს და არა ავტომატურად გაიმეორო.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ.

სოციალური სწავლება

სოციალური მეთოდის გამოყენების დროს ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში, ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად.

(როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო) თავი პირველი „აზროვნება და შემეცნება საკლასო გარემოში“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.19&d=HASH53faba1e9f16a8a26bc137.2)

ამრიგად, აზროვნების განვითარების მიდგომებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი მეთოდები, რომლებიც მოსწავლეთა მაღალი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

მოტივაცია

სპეციალისტთა განმარტებით, მოტივაცია ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველია. მოტივაცია პირადი პასუხისმგებლობის შემთხვევაში საკუთარი შინაგანი მოტივების გააზრებასა და ქმედებების გაკონტროლების უნარს გულისხმობს და იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგის გაუმჯობესებაში. რაც მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მაღალია სწავლის ხარისხი. როდესაც სუსტია სწავლის ხარისხიც იკლებს.

მოტივაცია ორი სახისაა: შინაგანი და გარეგანი. გარეგანი მოტივაციის დროს მოსწავლე მიმართულია მხოლოდ წახალისების მიღებისკენ, შინგანი მოტივაციის დროს წახალისება მინიმუმამდეა დაყვანილი. მოსწავლეთა მამოტივირებელი შეიძლება იყოს მასწავლებელი, რომელიც თავის საგანს მაღალ დონეზე ფლობს. ასევე პატივს სცემს მოსწავლეს და აფასებს მის ინტერესებს. რაც უფრო მხარდაჭერას გრძნობს მოსწავლე მასწავლებლის მხრიდან, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ. ამიტომ მოსწავლე, მასწავლებელს და გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მოტივაციის ამაღლების საკითხში.

„სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე მასწავლებელზე დაკვირვებით სწავლობს, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლეელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს მასწავლებელი(ოჯახთან ერთად)“.

(ინტერნეტჟურნალი-maststavlebeli.ge, ირინა აბულაძე, 24 ივნისი 2014წ.)

ამრიგად, ვნახეთ, რომ მასწავლებელი მოსწავლისათვის ერთგვარი მოდელია, ამიტომ მასწავლებელს უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის წინაშე.

ძალიან რთულია სიტუაციაა, როცა სხვისი მოტივირება გსურს. სხვისი მოტივირება ნიშნავს- უბიძგო მას ძველი ქცევა შეცვალო ახლისკენ. მოტივი დაკავშირებულია მიზანთან, რადგან რაც უფრო ძლიერია მოტივი, მით უფრო გვიბიძებს იგი მიზნის მიღწევისაკენ.

„სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლის დაინტერესებას. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ბევრი ფაქტორი

განაპირობებს, მაგალითად: ამა თუ იმ საგნის ინტერესი, მოსწავლის თვითშეფასება, მოთმინება და შრომის უნარი. ზოგი მოსწავლე სხვის დასანახად სწავლობს, ზოგი - შექებისათვის.“

(ინტერნეტგაზეთი- „ახალი განათლება“, 2018წ, 12 დეკემბერი)

იმისათვის, რომ მოსწავლეს მოტივაცია ავუმაღლოთ მივცეთ ისეთი ტექსტი რომელსაც ადვილად გაართმევს თავს, დავეხმაროთ იმის გაცნობიერებაში, რომ უნდა წაიკითხოს არა ჩემთვის, არამედ საკუთარი თავისთვის. ავურჩიოთ ტექსტი მისი ინტერესის და შესაძლებლობის გათვალისწინებით. შევარჩიოთ მრავალფეროვანი მეთოდები.

მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში

მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესებში: „ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებსა და სწავლის გაუმჯობესებაზე. როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობელსა და მასწავლებლებს, რათა ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს მშობლების მონაწილეობას მრავალმხრივ კომუნიკაციაში. მოსწავლის სასწავლო პროცესში და სასკოლო ღონისძიებებში. ამ დროს:

მშობლები მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

მშობლები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს შვილის სწავლის პროცესში.

მშობლები შვილების სწავლის პროცესში არიან ჩართული, როგორც სრულუფლებიანი პარტნიორები და მონაწილეობენ ბავშვის განათლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

მშობლებისათვის „მშობელთა ჩართულობა“ შეიძლება გულისხმობდეს:

შემლებისდაგვარად მეტ სასკოლო ღონისძიებაზე დასწრებას,

ბავშვის მიერ კარგად შესრულებული სამუშაოს წახალისებასა და ქებას მშობლის მხრიდან,

სკოლისთვის რეალური მოთხოვნების დასახვას,

მასწავლებლებთან რეგულარულ შეხვედრებსა და მათი შვილის პროგრესის განხილვას,

საშინაო დავალების შესრულებაში მოსწავლის დახმარებას;“

(მშობელთა ჩართულობა-რეკომენდაციები დირექტორეისა და მასწავლებლებისათვის; თბილისი 2015) http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

ამრიგად, მშობელსაც ძალიან დიდი როლი ეკისრება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობაში. რათა მწამს, რომ სკოლას და ოჯახს ერთობლივად მოსწავლის წარმატებაზე ერთნაირი პასუხიმგებლობა ეკისრებათ. ერთიანი ძალებით კი მოსწავლის წარმატება მიღწევადი იქნება.

მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის, ასევე მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებისთვისაც. იცვლება მშობლის სოციალური, ემოციური მხარე და პიროვული თვისებები. ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელს მეტად ესმის საკუთარი შვილის: უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს; ხდება უფრო მზრუნველი, ნაკლებად მკაცრი შვილის მიმართ და უფრო მეტად აფასებს მის მიღწევებს; ხდება უფრო თავდაჯერებული და სიამოვნებით ერთვება ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში; უფრო თავდაჯერებულია გადაწყვეტილების მიღებისას; მეტ ყურადღებას აქცევს საკუთარი ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების ამაღლებას; უფრო წარმატებით იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს საკუთარი ოჯახისა და შვილის საჭიროების დასაკმაყოფილებლად“

(http://mastsavlebeli.ge/?p=18080, ინტერნეტგაზეთი - „მშობლებთან თანამშრომლობა - ვისწავლოთ ერთად“, ლომიძე. 2018წ.)

III თავი

3.1.კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია: წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების შემაფერხებელი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და შედეგის გაუმჯობესება. მოსწავლეებში ტექსტის გაგება- გააზრების უნარების გამომუშავება. მოსწავლეებთან, მშობლებთან საუბარი და მათი დახმარება, მუშაობის პროცესში ამ მიმართულებით კონსულტირება. შემდგომი სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა და ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწა.

მნიშვნელოვანია კვლევის ფარგლებში, გავაანალიზო თუ როგორ შევუწყო ხელი მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავება, გამოვყო და დავადგინო ძირითადი მიზეზები, თუ რატომ უჭირთ მოსწავლეებს წაკითხულის აღქმა. გამოვიკვლიო, რა მეთოდები გამოიყენება ამისათვის, როგორი აქტივობებით ხდება არსებული პრობლემის დაძლევა გაკვეთილზე, როგორ ხდება მარტივიდან რთულისკენ გადასვლა. ასევე ამ კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნას რა რესურსების გამოყენება გაამარტივებს ტექსტის აღქმას და მის გაგებას.

3.2. კვლევისამოცანები

მიზნის მისაღწევად განვსაზღვრე კვლევის ამოცანები:

- დავადგინო პრობლემის გამომწვევი რეალური მიზეზები.
- სწორად განვსაზღვრო და დავგეგმო ინტერვენციები
- შევაფასო დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობა.

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო გარემოს მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებაში?
- რა დროს უთმობენ მოსწავლეები ლიტერატურის კითხვას?
- რა სირთულეებს ხვდებიან კითხვის დროს?
- როგორ ზრუნავენ მშობლები შვილების წიგნიერების ამაღლებისთვის?
- რა როლი ენიჭება გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაში?

IV თავი

4.1. კვლევის მეთოდების განხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებულ საშუალებებს, რომელთაც ობიექტურ დასკვნებამდე მივყავართ, კვლევის მეთოდები ეწოდება. კვლევის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თვისობრივ (დაკვირვება, დიალოგი, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფები და ა.შ.) და რაოდენობრივ (მაგ. მასობრივი თუ წერილობითი გამოკითხვა - ანკეტირება) მეთოდებად. კვლევის თვისობრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი თემის სიღრმისეულ, ხარისხობრივ შესწავლას. ხოლო რაოდენობრივი ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივი გავრცელების სურათს. გასათვალისწინებელია ის, რომ კვლევის პროცესში რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების ერთად გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობას და მაღალ ხარისხს.

4.2. კვლევის მონაცემთა შეგროვება

იმისათვის, რომ დამედგინა საკვლევი საკითხის მიზეზები და მონაცემები შემეგროვებინა, გამოვიყენე კვლევის მეთოდები, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი. კერძოდ: კითხვარები, ტესტი, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ.

თავდაპირველად გადავწყვიტე დამედგინა, რამდენად კარგად ჰქონდათ განვითარებული მოსწავლეებს კითხვის უნარი და რამდენად შეეძლოთ წაკითხულის გააზრება. ამ მიზნით

შევარჩიე ტექსტი, წავაკითხე ჯერ მოსწავლეებს და შემდეგ დავსვი კითხვები. (დანართი 5). შემდეგ კი მივეცი **ტესტი** წაკითხულის გაგება-გააზრებაზე. (დანართი 4). ვეძებდი და ვიყენებდი ასევე პროექტ G-pried-ის ტექსტებს. (მართალია ჩემი სკოლა არ იყო ჩართული ამ პროექტში, მაგრამ დამოუკიდებლად ყოველთვის ვიყენებ და ვიძიებ ინტერნეტში ამ პროექტის მასალებს.)

ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა მშობლებთან. მათგან მივიღე ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა კითხვარის შედგენაში, თუ რამდენად არიან მშობლები ჩართულნი შვილების წიგნიერების განვითარებაში. თუ იყენებენ რაიმე ხერხს იმისათვის, რომ კითხვის მოტივაცია ამაღლდეს მათ შვილებში და რამდენად ეხმარება ბავშვებს მათი ჩართულობა წაკითხულის გაგება-გააზრების მხრივ.

ასევე ფოკუს-ჯგუფი შევქმენი მოსწავლეებთან, იმის დასადგენად, რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს წაკითხულიდან აზრის გამოტანა და ტესტებზე მუშაობა. ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირებაც, რომელიც დამეხმარა შემემუშავებინა ისეთი დავალებები, რომელიც პრობლემის აღმოფხვრაში დამეხმარებოდა.

კითხვარი შევიმუშავე თითოეული მოსწავლის მშობლისათვის. (დანართი1) მოსწავლეებს გავატანე კითხვარები მშობლებთან, ხოლო შევსებული გამომიგზავნეს ბავშვების დახმარებით. კითხვარის შევსებაში ყელა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. კითხვარის პასუხებმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა მშობელთა ჩართულობაზე, თუ რამდენად უწყობენ ხელს შვილების წიგნიერების განვითარებას.

ინტერვიუს - საშუალებით გამოვარკვიე მოსწავლეთა სურვილები და ინტერესები, რაც მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლებაში დამეხმარა. დამეხმარა აგრეთვე კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემის მოგვარებაში. ინტერვიუ გამოვიყენე აგრეთვე მშობლებთანაც, რაც დამეხმარა გამეცნო და განმესაზღვრა ის სირთულეები, რაც მოსწავლის აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს. ასევე ინტერვიუ ჩავატარე კოლეგებთან(დანართი 3).

ანკეტირება - ჩავუტარე მოსწავლეებს(დანართი 2). ამის მიხედვით შევაგროვე ინფორმაცია, თუ როგორია მოსწავლეთა დამოკიდებულება კლასგარეშე კითხვის მიმართ, რა სირთულეები ხვდებათ კითხვისას. ანკეტირებით მიღებული ინფორმაცია დავაკავშირე

საკვლევ პრობლემასთან და მათი გათვალისწინებით დავგეგმე პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო გზები.

საკვლევი პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისა და შედეგების შესადარებლად მოსწავლეებს კვლევის დასაწყისში ჩავუტარე პრეტესტი, ბოლოს კი პოსტტესტი ერთსა და იმავე დონის ტექსტის გაგება-გააზრებაზე.

4.3. მონაცემთა ანალიზი

ანკეტირებით აღმოჩნდა, რომ დაწყებით კლასებში წაკითხულის გაგება-გააზრება დიდ პრობლემას წარმოადგენს. მოსწავლეთა გამოკითხვით მინდოდა დამედგინა რა იყო მიზეზი კითხვის სირთულისა. მოსწავლეებზე განხორციელებულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათ ნაწილს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გაანალიზება უჭირთ. ნაწილი ლექსიკური მარაგის სიმწირის გამო სიტყვების ამოცნობაზე ხარჯავს ენერგიას და უინტერესო ხდება კითხვა მათთვის. ნაწილი კი - ტექსტის სიდიდეს უკავშირებს კითხვასთან დაკავშირებულ პრობლემას.

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები შემდეგნაირი იყო. კითხვაზე- რა ტიპის ტექსტები მოსწონთ, გაირკვა, რომ მოსწავლეთა 25% მოსწონთ ინფორმაციული, 50% - მხატვრული, ხოლო ორივე- 25%-ს.

კითხვა 1. რა ტიპის ტექსტები მოგწონთ?



შემდეგი კითხვა 2.უყვართ თუ არა კითხვა, მივიღე შემდეგი შედეგი:



უყვარს 25%

ხანდახან 25%

არ უყვარს 50%

მშობელთა გამოკითხვის შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის შედეგი:

კითხვაზე: კითხულობს თუ არა თქვენი შვილი დამოუკიდებლად ტექსტებს სახლში?



მშობელთა დიდი ნაწილი გვიჩვენებს, რომ მათი შვილები არ კითხულობენ დამოუკიდებლად სახლში, ყველაზე მცირე ნაწილი იშვიათად კითხულობს დამოუკიდებლად.

შედეგი კითხვაზე: კითხულობენ თუ არა მშობლები შვილებთან ერთად ?

აჩვენა, რომ:

არ კითხულობს 46%

იშვიათად 32%

კითხულობს 22%



მეხუთე კითხვა: საუბრობენ თუ არა წაკითხულის ირგვლივ გაირკვა:

საუბრობს 27%,

არ საუბრობს 43%,

იშვიათად საუბრობს 30%.



კვლევის ვადები

კვლევა განსახორციელებლად დავგეგმე 2018-2019 სასწ.წლის მეორე სემესტრში. პირველ სემესტრში შევარჩიე საკვლევი საკითხი და ლიტერატურა.

აქტივობა	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება							
ლიტერატურის გაცნობა							
სამოქმედო გეგმის შედგენა							
კითხვარებისშედგენამოსწავლეებისთვისდამშობლებისთვის							
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი							
ინტერვენციების განხილვა							
ინტერვენციების განხორციელება							
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							
პრეზენტაცია-კათედრის წევრებისთვის შედეგების გაცნობა							

V თავი

5.1. ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

ჩატარებული კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მოსწავლეთა ინტერესის სფერო და შესაძლებლობები. გამოკვეთილი პრობლემების შემდეგ მოვახდინე ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, თუ რომელი აქტივობებით შეიძლებოდა წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის საჭირო უნარების განვითარება. გასათვალისწინებელი იყო მოსწავლეთა, მშობელთა და კოლეგებთა დამოკიდებულება. კვლევა უნდა დაფუძნებულიყო თანამშრომლობით პრინციპებზე. მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და კოლეგებთან მოვახდინე პრობლემის განხილვა, ავუხსენი მათ, რომ პრობლემის მოგვარებისთვის აუცილებელი იყო ერთობლივი მუშაობა, მოვისმინე მათი მოსაზრებები და სურვილები. მოსწავლეებს უნდა გაეცნობიერებინათ, რომ საჭირო იყო არსებული მდგომარეობის შეცვლა გუმჯობესებისაკენ. სასურველია ეს მოხდეს დაწყებით კლასებშივე. იმისათვის, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩართულიყვნენ ტექსტების კითხვის პროცესში, საჭირო იყო სახალისო, საინტერესო და ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობების მოფიქრება და განხორციელება, მრავალფეროვანი რესურსების შექმნა და გამოყენება. სასწავლო წლის დასრულებამდე მოსწავლეებთან უნდა მემუშავა კონკრეტული სავარჯიშოების გამოყენებით, რომლებიც გააზრებულად კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას შეუწყობდა ხელს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით დავგეგმე შემდეგი აქტივობები:

- „მნიშვნელოვანი სიტყვები“
- „როლური თამაში“
- „მკითხველთა თეატრი“
- „წაკითხვა და შეკითხვის დასმა“
- „სადისკუსიო ქსელი“

კვლევის პროცესში ასევე გავხსენი სკოლაში მესამე-მეოთხე კასის მოსწავლეებისთვის უფასო თეატრალური წრე „ცეროდენები“. წრის მიზანი იყო, მოსწავლეებში მხატვრული კითხვის ტექნიკის განვითარება და მიცემული ტექსტის გაგება-გააზრება, როლებად მორგება.

ინტერვენცია 1. „მნიშვნელოვანი სიტყვები“

მიზანი:მეთოდის მიზანია, მოსწავლეებს განუვითარდეთ არამხოლოდ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევა, არამედ შეძლონ ტექსტის გაგება და მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა.

აღწერა: მდიდარი ლექსიკური მარაგი პირდაპირ არის დაკავშირებული ტექსტის გააზრებასა და სიღრმისეულ წვდომასთან, თუ მოსწავლისთვის გაუგებარია ტექსტში მოცემული კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა, ბუნებრივია, უფრო ბუნდოვანია აზრი. ტექსტის მიცემის დროს მოსწავლეები ამოიწერენ მნიშვნელოვან სიტყვებს. თუ გაუგებარია - განმარტავენ, მდიდარი ლექსიკა კი მნიშვნელოვნად განაპირობებს გაგებას, სიტყვებზე მუშაობას. ეს მეთოდი გამოიყენება აღწერით ტექსტებზე მუშაობისას.

ავარჩიე ტექსტი „ინკები“, რომელიც არ შეიცავდა 100 -150 სიტყვაზე მეტს . უცნობი სიტყვა არ აღემატებოდა 6 -7 სიტყვას. მოვამზადე ყველა მოსწავლისათვის თითო ეგზემპლარი და წებოვანი ფურცლები.

თავდაპირველად მათ, განწყობის შესაქმნელად, ვაჩვენე ფოტო, რომელზეც ინკები იყვნენ გამოსახულები. დავსვი კითხვები:

- რას ხედავთ ფოტოზე?
- ვინმეს ხომ არ უნახავს ეს ფოტო?

წარვმართეთ მცირე დისკუსია აღნიშნულ თემაზე.

ამის შემდეგ ვაჩვენე ტექსტი და ავუხსენი, რომ ამ ტექსტზე მუშაობა მოუწევთ მეთოდის „მნიშვნელოვანი სიტყვები“ გამოყენებით. განვუმარტე, რომ ტექსტი უნდა წაიკითხონ და

ბარათებზე ტექსტიდან ამოწერონ მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ხუთი სიტყვა (თითო ბარათზე თითო სიტყვა). როდესაც დაასრულეს, ორ მოსწავლეს ვთხოვე დაფაზე გაკრულ ფორმატის ქაღალდზე მიემაგრებინათ ბარათები. ერთს- ჰორიზონტალურად, ხოლო მეორეს ის სიტყვები, რომლებიც მეორდება- ვერტიკალურად. ხოლო დანარჩენი სიტყვები კვლავ ჰორიზონტალურად გააგრძელოს. ასე განმეორდა ყველა მოსწავლეზე. როცა დასრულდა, დავითვალეთ რამდენჯერ გამეორდა თითოეული სიტყვა და გამოვავლინეთ ყველაზე რეიტინგული სიტყვები. შემდეგ დისკუსია ისევ გავმართეთ, რაც ბავშვებს დაეხმარა მიბრუნებოდნენ სიტყვებს, გაეთავისებინათ და გაეაზრებინათ მათი მნიშვნელობები და უკეთ ჩაწვდომოდნენ ტექსტის შინაარსს.

შედეგი: მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ კითხვის პროცესში. დამოუკიდებლად და ინტერესით გაეცვნენ სხვადასხვა თემაზე შექმნილ არამხატვრულ ტექსტებს; გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ; ახერხებენ ტექსტში მნიშვნელოვან და ნაკლებადმნიშვნელოვანი სიტყვების გამოყოფას და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მათ სწორად და ადეკვატურად გამოყენებას; გაუმდიდრდათ ლექსიკური მარაგი და რაც მთავარია განუვითარდათ მსჯელობის, წაკითხული ტექსტის გაგებისა და ანალიზის უნარები.

ინტერვენცია 2. „როლურითამაში“

მიზანი:ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებში საკითხის გააზრების, დისკუსიის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი აზროვნების და როლური ქცევის უნარ-ჩვევის განვითარებას.

აღწერა: ვარჩევ მხატვრულ ტექსტს, ვანაწილებ როლებად (ზოგიერთ შემთხვევაში შერჩევის პრინციპით, ზოგჯერ- არჩევით). ამის შემდეგ ხდება როლების გათამაშება. გათამაშეის შემდეგ მოსწავლე გამოდის როლიდან და ერთვება დისკუსიაში. ამ მეთოდის გამოყენების დროს , მასალა უნდა იძლეოდეს სიმულაციის საშუალებას და ქცევები რომლის გათამაშებაც ხდება, უნდა ექვემდებარებოდეს განსჯას.

როლური თამაშის ჩატარების ეტაპებია:

- როლების გათამაშებისთვის სათანადო გარემოს შექმნა
- როლების განაწილება
- გათამაშება
- როლიდან გამოსვლა
- დისკუსია
- შეჯამება.

შედეგი: როლური თამაში დაეხმარა მოსწავლეებს აზრებისა და ქმედებების უკეთ გაგებაში, საკითხის გააზრებაში, განუვითარა შემოქმედებითი აზროვნება და როლური ქცევის უნარ-ჩვევა.

ინტერვენცია 3.„მკითხველთა თეატრი“

მიზანი: ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს კითხვის, წაკითხულის გაგების, გააზრების, ანალიზის უნარი, ასევე სოციალური და კომუნიკაციის უნარი.

აღწერა: „მკითხველთა თეატრი“ ეფექტური მეთოდია გამართული კითხვის დასახვეწად, რადგან ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატდებიან საუბარში და მეტი ინტერესითა და პატივისცემით იმსჭვალებიან ლიტერატურისადმი. ამ აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა მცირე ზომის პიესა ან ზღაპარი. ტექსტი იმ ზომის უნდა იყოს, რომ 10-15 წუთში იკითხებოდეს. ის უმეტესწილად უნდა შედგებოდეს დიალოგებისგან, რათა შესაძლებელი იყოს როლების გადანაწილება რამდენიმე მკითხველზე.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. კლასში ტექსტის წასაკითხად გამოვყავით მოხალისე.

2. თითოეულ მოსწავლეს ვაძლევ ტექსტის ასლს და ხმამაღლა წავუკითხე, რომ გამართულად წაკითხული მოისმინონ.
3. ამის შემდეგ წავაკითხე ტექსტი
4. გავანაწილეთ ტექსტი მკითხველებში
5. შემდეგ ვსვამ სკამზე პირით აუდიტორიისაკენ. მოსწავლეები საკუთარი როლის შესაბამისად იყენებდნენ მიმიკებს, ჯესტებს და ინტონაციას.
6. გავამეორებინე სცენები რამდენჯერმე, რათა თხრობას დრამატულობა, ხოლო კითხვას - გამართულობა შემატებოდა.

შედეგი: შეძლეს გამართული კითხვა, წაკითხულის გაგება გააზრება და ანალიზის უნარი, როლებად კითხვა.

ინტერვენცია 4. „წაკითხვა და შეკითხვის დასმა“

მიზანი: მოსწავლეს განუვითარდეს კითხვის, წაკითხულის გაგება-გააზრების, ანალიზის და სინთეზის უნარები. ასევე კომუნიკაციის, სოციალური და კოგნიტური უნარები.

აღწერა: ამ აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა ტექსტი, რომელსაც ექნება სათაური და ქვესათაურები, რამდენიმე აბზაცი მაინც.(შეიძლება იყოს სახელმძღვანელოდან აღებული, უკვე განვლილი მასალიდანაც).

ამ მეთოდს გამოყენების შემდეგი საფეხურები აქვს:

ვურიგებ ბავშვებს ამობეჭდილ სამოქმედო ინსტრუქციებს, ზოგჯერ ვაჩვენებ პროექტორით და საშუალებას ვაძლევ დაწვრილებით გაეცნონ მას.

1. ვაკითხებ ტექსტს ნაწილ-ნაწილ. ქვესათაურიდან მომდევნო ქვესათაურამდე, ან აბზაციდან აბზაცამდე. თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მივაწერინებ საკვანძო სიტყვებს მინდორზე.

2. ამ საკვანძო სიტყვებს ვიყენებთ მინიშნებებად და ვაყალიბებთ ისეთ კითხვებბს, რომლებიც გავლილი მასალის გამეორებას ემსახურება და რომლის მსგავსიც შეიძლება შეხვდეთ ტესტირებაზე. შეკითხვებს წერენ ფურცელზე.
3. ამის შემდეგ ფიქრობენ და წერენ კითხვის პასუხებს ფურცლის უკანა მხარეს.

ამ დავალების შესასრულებლად ვაძლევ 20 წუთს. გარკვეული დროის შემდეგ ჩამოვიარე და ვკითხე ბაშვებს , რა კითხვები დასვეს, რა პასუხები გასცეს კითხვებს, რა სიტყვები ამოწერეს.

შედეგი: ამ მეთოდმა ხელი შეუწყო მოსწავლეებს, კითხვის დასმის, დასმულ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის მოსაძებნად მოსწავლეებს მოუწიათ მასალის რამდენჯერმე გადახედვა და გონებაში გამთლიანება. შეძენილი ცოდნა ტესტირებისა და გამოცდისთვისაც გამოადგებათ.

ინტერვენცია 5. „სადისკუსი ოქსელი“

მიზანი: ეს მეთოდი მოსწავლეებში ავითარებს კითხვის, წერის, წაკითხულის გააზრების სოციალურ, კომუნიკაციის, კოგნიტურ და კრიტიკულიაზროვნების უნარებს.

აღწერა: ვწერთ დაფაზე ისეთ შეკითხვას, რომელიც კამათს გამოიწვევს. ვთხოვ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ სამ-სამი მიზეზი, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ ან შევეწინააღმდეგოთ. აქვე ვახსენებთ, რომ შესაძლოა ჩამოთვლილი მიზეზები მათ პირად შეხედულებებს არ ემთხვეოდეს. ვურიგებ მოსწავლეებს სადისკუსიო სქემის შესავსებ ფურცლებს და ვთხოვ შეავსონ თვითონ თავიანთი მოსაზრებებით. შევსების შემდეგ, ვთხოვ მოსწავლეებს, რომ წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს შეხედუებები და განუმარტონ მეწყვილეს მოსაზრებები. სურვილის

შემთხვევაში დაამატონ ახალი მიზეზებიც საკუთარ სქემას. დისკუსიის დასრულების შემდეგ ვთხოვ რამდენიმე მსურველს, რომ ხამაღლა გამოთქვან თავიანთი შეხედულებები. ვახსენებ მოსწავლეებს, რომ ამ მომენტისთვის არ არსებობს სწორი პასუხი, ყველა მოსაზრებას თანაბარი ძალა აქვს.

და ბოლოს ,,დასკვნებში" დაწერონ ესე, რომელიც საკუთარ შეხედულებებს გამოხატავენ მოცემულ საკითხზე.

შედეგი: „სადისკუსიო ქსელის" გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი შეხედულებები თუ დამოკიდებულებები საკითხის მიმართ. ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ. პროცესში მონაწილეობა სასარგებლოა ახალი ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების, წერის პროცესისთვის მომზადების, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის.

5.2. ინტერვენციის შედეგის ანალიზი

კვლევის შედეგად შემიძლია ვთქვა, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან გააზრებული კითხვის სწავლებისათვის საკმაოდ ეფექტურია ინფორმაციის დამახსოვრებასა, კითხვის დასმასა, ტექსტიდან მნიშვნელოვანის გამოყოფასა დასხვადსხვა უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულება. ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ „როლური თამაშები", „სადისკუსიო სქემები"და ა.შ. რამაც ხელი შეუწყო წაკითხულიდან დასკვნების გამოტანის, შეკითხვების დასმისა და გააზრებული კითხვის უნარების განვითარებას.

მოსწავლეთა მიღწევების შემოწმების მიზნით, სისტემატურად ვახდენდი ჩემს მიერ დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობის მონიტორინგს.

შერჩეულმა ინტერვენციებმა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო მნიშვნელოვანი სიტყვების ამოკრება

ტექსტიდან, შეუძლიათ მსჯელობა, გააზრება, ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და საკუთარი აზრის დაფიქსირება და სხვ.

ინტერვენციის სასწავლო პროცესში გამოყენების შედეგად, კითხვისადმი მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობა ძალიან გაიზარდა. აგრეთვე საგაკვეთილო პროგრამით გათვალისწინებული მასალებისადმი ინტერესიც ამაღლდა, ბავშვები ხალისით ჩაერთვნენ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების დამუშავებაში (თუმცა, 100%-იანი წარმატებებისათვის ჯერ არ მიგვიღწევია).





ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ჩატარებულ დიაგნოსტიკურ ტესტირებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები.

მოსწავლეთა იმ ნაწილს, რომელთაც ძალიან უჭირდათ წაკითხულის გააზრება (მოვლენათა თანმიმდევრილი დალაგება, ტექსტის მიხედვით კითხვების დასმა და დასკვნების გაკეთება), მრავალფეროვანი და სახალისო სავარჯიშოების შესრულებით ეტაპობრივად უვითარდებათ გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევები. ასევე შეიცვალა მოსწავლეთა მიმართ მშობლების დამოკიდებულებაც, ისინი შვილებს აღარ უწევენ მეცადინეობის დროს ,,დათვურ სამსახურს" და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავთ.

VI თავი

6.1. მიგნებები და რეკომენდაციები

ინტერვენციების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება:

- აქტივობებითა და თამაშით მივაჩვიოთ მოსწავლეები სწორ, ხმამაღალ და სათანადო ინტონაციით კითხვას.
- გავამახვილებინოთ ყურადღება სასვენ ნიშნებზე, რათა შეძლონ ტექსტის შინაარსის გააზრება.
- გავმართოთ წაკითხული ტექსტის გარშემო დისკუსიები.
- ხშირად ვაწერინოთ წაკითხული ტექსტის გააზრება.
- მოვაწყოთ მკითხველთა თეატრი.
- დავეხმაროთ მოსწავლეებს წასაკითხი წიგნების შერჩევაში. სწორად შევურჩიოთ და მივცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება. ნუ დავაძალებთ მისთვის უინტერესო წიგნის წაკითხვას.
- გავააქტიუროთ მშობელთა ჩართულობა კითხვის პროცესსა და წაკითხულის ირგვლივ საუბრებში, წიგნების ერთობლივად შერჩევაში. ვთხოვოთ მათ თავად მისცენ შვილებს მაგალითი. იკითხონ წიგნები როგორც შვილებთან ერთად, ისე ცალკე, რათა დაანახონ მათ წიგნის კითხვის აუცილებლობა.
- დავგეგმო თანმიმდევრული და სწორი ინტერვენციები კითხვის შინაგანი მოტივაციის შესაქმნელად და შეხვედრები მწერალთან.
- მკითხველთა კლუბების შევქმნათ.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შეიძლება მივცეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- წიგნის შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება.
- მოსწავლეებს ყოველთვის მიეცეს მკაფიო ინსტრუქცია, რადგან შესაძლოა ზოგიერთმა ვერ შეძლოს მისი გაგება და ვერ ჩაერთოს სწავლების პროცესში, რაც მის აკადემიურ მოსწრებაზე აისახება და დაუქვეითებს მოტივაციას.
- გაწაფული კითხვის უნარისა და ტექნიკების დაუფლება/გაუმჯობესებისათვის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.
- მოსწავლეებმა შეძლონ კითხვის ეფექტიანი ტექნიკის გამოყენება ყოველი ტექსტის წაკითხვისას - ამ რეკომენდაციის გათვალისწინება მათ ნებისმიერი სიდიდისა და

ტიპის ტექსტების დამუშავებაში, აგრეთვე ჩამოუყალიბდებათ ჩვევა-წაიკითხონ ყურადრებით.

- სწავლების პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდა, სისტემატური ურთიერთთანამშრომლობა,სიძნელეების დროული აღმოჩენა და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება.
- მასწავლებელმა გაითვალისწინოს კოლეგათა გამოცდილება, გამოიყენოს სხვადასხვა სავარჯიშოები და მეთოდები მოსწავლეებში გააზრებული კითხვის უნარების გასავითარებლად.

მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინება კიდევ უფრო დიდ ეფექტს იქონიებს მოსწავლეებში გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. კერძოდ, მოსწავლეები შეძლებენ ნებისმიერი მოცულობისა და სირთულის ტექსტზე მუშაობას. მშობლები ითანამშრომლებენ სკოლასთან, მასწავლებლის რეკომენდაციით იმოქმედებს სახლში. ასევე მასწავლებელი შეეცდება საინტერესო გახადოს წასაკითხი ტექსტი მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი აქტივობებით.

6.2. პრაქტიკული კვლევის არსი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციის უნარის ფლობა. მასწავლებელი კოეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება, მუხლი 133,)

1)შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება, საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. (პროფესიული განვითარება, მუხლი 139)

2) სწორედ, ამიტომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის

განხორციელება, ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად პრაქტიკული კვლევის განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

პრაქტიკული კვლევა ახალი ცოდნის ძიებას , მის დოკუმენტურად გაფორმებას ანგარიშების გაფორმებას, ინტერვენციების განხორციელებას, შემდეგ კი შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებასაც გულისხმობს.

პრაქტიკის კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

პედაგოგიური პრაქტიკის ამოსავალი წერტილია სამუშაოს დროს წარმოქმნილი პრობლემები და მისი ანალიზი. ანალიზისას მთავარი თემაა მოსწავლეთა მიღწევები. კონკრეტულ შემთხვევაში ვიკვლევ წაკითხულის გაგება-გააზრებას. ამ კუთხით საინტერესოა ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების კვლევებისა და მოსაზრებების გაცნობა, ასევე კოლეგების გამოცდილების გაზიარება, რათა კვლევა წარიმართოს სწორად და არ ავცდე მიზანს.

ჩემს მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები ძირითადად თვისობრივია, თუმცა, გამოვიყენეყე ანკეტირებაც. ანალიზისა და მონაცემების დამუშავების შემდეგ, პრაქტიკული კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპი ინტერვენციები განვახორციელე. მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად ვერეოდი სასწავლო პროცსში. თუმცა, ესეც არაა ბოლო ეტაპი. აუცილებელია გაანალიზდეს მეორადი მონაცემებიც, ანუ ის შედეგები, რომელიც განხორციელებული ინტერვენციებით მივიღეთ, შემუშავდეს რეკომენდაციები, შეჯამდეს პროცესი, დაიწეროს დასკვნა და კვლევა გასაჯაროვდეს სასკოლო თემში და გაანალიზდეს მისი შედეგები.

ნაკლოვანებები

ჩემი შეფასებით კვლევას ნაკლოვანებებიც გააჩნია, ესენია:

1. მონაცემთა სიმწირე;

2. პრობლემის მასშტაბურობის გამო, მხოლოდ რამდენიმე საკითხის განხილვა შევძელი;

3. შედეგების არასრული ანალიზი ;

6.3. დასკვნა

2018-2019ს.წ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის მესამე, მეოთხე კლასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ კვლევის პირველ ეტაპზე წარმატებით განხორციელდა საკვლევი საკითხის შერჩევა. სამიზნე ჯგუფის მოსწავლეები, მშობლები და დაწყებითი კლასების პედაგოგები აქტიურად ჩაერთვნენ კვლევის პროცესში. კვლევის შედეგმა საკვლევი საკითხის აქტუალურობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი პრაქტიკის მანძილზე მოსწავლეთა ჯგუფებში ტექსტის გაგება -გააზრების პრობლემა თვალშისაცემი იყო. გამოკითხვებმა და მონაცემთა გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებს კვლევის დაწყების ეტაპზე აშკარად უჭირდათ დიდი ტექსტის გაგება, ამიტომ თითქმის არ კითხულობდნენ კლასგარეშე ლიტერატურას. არც მშობლების მხრიდან შეიმჩნეოდა მხარში დგომა და ჩართულობა.

დავსახე რა სამოქმედო გეგმა და შევარჩიე პრობლემის გადაჭრისათვის საინტერესო ინტერვენციები, მოსწავლეთა მოტივაცია ამაღლდა. მათ ამ ეტაპზე შეუძლიათ წაკითხული ტექსტიდან მთავარი და უმნიშვნელო აზრის გამიჯვნა, რაც ჩემი აზრით, აზროვნების განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ჩემი სამომავლო მიზანია, აღნიშნულ საკითხზე კვლევა გავაგრძელო და დავხვეწო პრობლემის მოგვარების მეთოდები.

ჩემს მიერ განხორციელებულმა ინტერვევენციებმა კი გამოკვეთა:

მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვა და გაგება შეუძლიათ, შემუშავებულმა რეკომენდაციებმა და გეგმამ გაამართლა, თუმცა ეტაპოვრივად დახვეწას საჭიროებს და მისი საბოლოოდ მოგვარება დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, ვაკვირდებოდი მოსწავლეებს. მათ აქტიურად გამოჰქონდათ წიგნები სკოლის ბიბლიოთეკიდან. ან სახლიდან მოჰქონდათ და ერთმანეთში ცვლიდნენ. მივხვდი, რომ მოსწავლეთა უმეტესობას გავუღვიძე კითხვის შინაგანი მოტივაცია, ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა. სწორ და გამართულ კითხვაზე ხშირი მონიტორინგი, წაკითხულის გააზრების წერა, მკითხველთა თეატრი, როლური თამაშები, წიგნების კითხვა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მათ დაეხმარა კითხვის ტექნიკის დუფლებაში, წაკითხულის შინაარსის უკეთ გაგებაში.

სამწუხაროდ მაინც აღმოჩნდნენ მოსწავლეები, რომელთაც ვერ გავუღვიძე კითხვის შინაგანი მოტივაცია. ასევე აღმოჩნდნენ მშობლები, რომლებიც ვერ ჩავრთე შვილებთან ერთად კითხვის პროცესში.

სწორედ ამიტომ სრულიად ვეთანხმები ავტორს: „სიტყვების მნიშვნელობების ცოდნა პირდაპირ არის დაკავშირებული წაკითხულის გააზრების უნართან და ზოგადად, მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან. თუკი მოსწავლეს აქვს უნარი გაიგოს იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებსაც იგი ტექსტის კითხვისას აწყდება, შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად, შეიძლება ითქვას, რომ იგი გააზრებულად კითხულობს და სავარაუდოდ, საფუძვლიანად იგებს წაკითხული ტექსტის შინაარსს.“ (გვ 23, „წიგნიერება“ მასწავლებლის სახელმძღვანელო, ავტორი-ირინა სამსონია). გააზრებულ კითხვაში არსებული პრობლემის საფუძველი და გამომწვევი მიზეზებია:

- კითხვის დაბალი ინტერესი
- მშობლების მიერ გაკვეთილის წაკითხვა და გაშინაარსება ბავშვებისათვის.
- ინფორმაციის დამუშავების პრობლემა.
- მასწავლებლის მხრიდან კითხვის სწავლების სტრატეგიების გამოყენების სიმწირე.

ბიბლიოგრაფია

1. ინტერნეტგაზეთიდან „მასწავლებელი“- როგორწარვმართოთპედაგოგიურიკვლევები“(3 მაისი, 2012წ)
2. file:///C:/Users/User/Desktop/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf, „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის მე-2 ნაწილი“
3. (https://edu.aris.ge/news/moswavleta-14s-wakitxulis-gaazreba-minimalur-donezec-ar-sheudzlia-pirlsis-uaxlesi-kvlevis-sagangasho-shedegi-saqartvelostvis.html)
4. (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია, გამომცემლობა მწიგნობარი 2012წ. გვ.5,6.)
5. (კითხვის ეფექტური მეთოდები (სასწავლო-მეატოდური ფილმი დ გზამკვლევი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გვ.6)
6. (როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება(მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო) თავი პირველი „აზროვნება და შემეცნება საკლასო გარემოში“, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.19&d=HASH53faba1e9f16a8a26bc137.2
7. (ინტერნეტჟურნალი-maststavlebeli.ge, ირინა აბულაძე, 24 ივნისი 2014წ.)
8. (ინტერნეტგაზეთი- „ახალი განათლება“, 2018წ, 12 დეკემბერი)
9. (მშობელთა ჩართულობა-რეკომენდაციები დირექტორეისა და მასწავლებლებისათვის; თბილისი 2015) http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
10. (http://mastsavlebeli.ge/?p=18080, ინტერნეტგაზეთი - „მშობლებთან თანამშრომლობა - ვისწავლოთ ერთად“, ლომიძე. 2018წ.)
11. (გიორგი ჭაუჭაძე, „ახალი განათლება“. N17 (851). 02-08.05.2019წ. გვ.2

დანართები

დანართიN1

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით!

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი გულიკო ბოჭორიშვილი ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მესამე, მეოთხე კლასებში, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გაუმჯობესების გზების ძიების მიზნით. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, ამიტომ საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება.

1. კითხულობს თუ არა სახლში თქვენი შვილი ტექსტებს დამოუკიდებლად?

   ა) ყოველთვის ბ) არასოდეს გ) ზოგჯერ

2. აძლევთ თუ არა რჩევას თქვენს შვილს წაიკითხოს ესა თუ ის წიგნი?

   ა) ყოველთვის ბ) არასოდეს გ) ზოგჯერ

3. იცნობთ თუ არა იმ ლიტერატურას, რაც მასწავლებელმა შეურჩია თქვენს შვილს წასაკითხად?

   ა) კი ბ) არა გ) ნაწილობრივ

4. როგორ ფიქრობთ, სწორად იყი თუ არა შერჩეული ლიტერატურა?

   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

5. ჭირდება თუ არა დახმარება თქვენ შვილს კითხვის დროს?

   ა) დიახ ბ) არა გ) იშვიათად

6. კითხულობთ თუ არა მასთან ერთად?

ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

7. საუბრობთ თუ არა წაკითხულის ირგვლივ?

ა) ყოველთვის ბ) არასოდეს გ) ზოგჯერ

8. თუ გისვამთ კითხვას რაიმე ეპიზოდის გარშემო?

ა) ყოველთვის ბ) არასოდეს გ) ზოგჯერ

9. შეუძლია თუ არა სახელმძღვანელოდან საჭირო ინფორმაციის მოძიება?

ა) ყოველთვის ბ) არასოდეს გ) ზოგჯერ

10. წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება უადვილდება....

ა) როცა თვითონ კითხულობს ბ) როცა მე ვუკითხავ.

დანართი N2

მოსწავლეებისათვის

მოგესალმებით!

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი გულიკო ბოჭორიშვილი ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მესამე, მეოთხე კლასებში, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გაუმჯობესების გზების ძიების მიზნით. თქვენი, როგორც მოსწალის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, ამიტომ საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება.

1. გიყვართ თუ არა კითხვა?

   ა) კი ბ) არა

2. რა ტიპის ტექსტები მოგწონს?

   ა) ინფორმაციული ბ) მხატვრული გ) ორივე

3. ხშირად კითხულობ?

   ა) კი ბ) არა გ) ნაწილობრივ

4. კითხულობ თუ არა უფროსებთან ერთად?

   ა) კი ბ) არა გ) ხანდახან

5. უყვები თუ არა წაკითხულის შესახებ მშობლებს, მეგობრებს, მასწავლებელს?

   ა) კი ბ) არა გ) ხანდახან

6. როგორ იქცევი თუ უცნობი სიტყვები შეგხვდა?

   ა) ვაგრძელებ კითხვას ბ) ვეკითხები სხვას მის განმარტებას

7. შენი აზრით რაში დაგეხმარება კლასგარეშე კითხვა?

ა) აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში ბ) აზროვნების ჩამოყალიბებაში
გ) ცხოვრების უკეთ შეცნობაში.

დანართი N3

კითხვარი მასწავლებელთა ინტერვიუსთვის

1. რა მოცულობის ტექსტებს აძლევენ მოსწავლეებს და რატომ?
2. რა პრობლემებს აწყდებიან წაკითხის დროს მათი მოსწავლეები?
3. რა იწვევს ამ პრობლემებს?
4. რა მეთოდებს იყენებენ და რატომ?

დანართი N4

სადიაგნოსტიკო ტესტი

მხატვრული ტექსტის გააზრება

უცნაური ქვა

ზაზა და ლია ზღვის პირას ლამაზ კენჭებს აგროვებდნენ. ბოლოს ზღვაზე ქვების სროლა დაიწყეს.... ზაზას ერთი აგურისფერი ქვა მოჰყვა ხელში, გასინჯა, მოიქნია და ზღვაში გადაისროლა. ქვა ტალღებმა აიტაცეს, აატივტივეს და შორს გააქანეს.

ზაზამ გაოცებით წამოიძახა:

- ლია, შეხედე, რამხელა ქვა გადავაგდე და არ ჩაიძირა, ტალღებზე ნაფოტივით ქანაობს.
- ალბათ ხე იყო და ქვა გეგონა! - უთხრა ლიამ ძმას.

...ლიამ თვითონაც მოძებნა ისეთი ქვები: ზოგი აგურისფერი იყო, ზოგი თეთრი, ზოგიც - ყვითელი.

ერთ დღეს, დიდი დასვენების დროს, მოსწავლეები ეზოში იდგნენ და საუბრობდნენ.

ერთმა იკითხა:

- ქვას რომ წყალში ჩავაგდებთ, რა დაემართება?
- დასველდება! - უპასუხა მეორემ.
- ჩაიძირება! - დაუმატა მესამემ.
- არა, ყველა ქვა არ იძირება წყალში. - გამოედავა ზაზა ამხანაგს.
- ზოგიერთი ხეც იძირება წყალში და ქვა არ ჩაიძირება?- წამოიძახა რამდენიმემ.
  ზაზამ ამხანაგები ბუნებისმეყტყველების მასწავლებელთან მიიყვანა და სთხოვა, დაერწმუნებინა ისინი, რომ ნამდვილად არსებობს ტივტივა ქვა.
- ზაზა მართალია! - თქვა მასწავლებელმა, - ყველა ქვა არ იძირება წყალშ. ტივტივა ქვას, მეცნიერებაში პემზას ეძახიან. ის წარმოიქმნება დედამიწის სიღრმიდან ამოხეთქილი, გავარვარებული ლავის ნაკადში, საიდანაც ქაფის სახით ამოდის, ამიტომ ხშირად ვულკანის ქაფსაც ეძახიან. პემზა ბევრ ხეზე მსუბუქია და ბევრ ქვაზე - მაგარი.

1. რას აგროვებდნენ ზაზა და ლია?
   ა) ლამაზ კენჭებს ბ) ნიჟარებს გ) ნაფოტებს

2. რამ გააოცა ზაზა და ლია?
   ა) ზღვის პირას ნაპოვნმა ლამაზმა კენჭმა
   ბ) წყალზე მოტივტივე ქვამ
   გ) წყალზე მოტივტივე ხის ნაფოტმა

3. რაზე კამათობდნენ ბავშვები დიდი დასვენების დროს?
   ა) ყველა ქვა, რომ წყალში სველდება.
   ბ) ყველა ქვა რომ წყალში იძირება
   გ) ყველა ქვა რომ წყალში არ იძირება

4. ტექსტიდან ვიგებთ, რომ:
   ა) პემზა ზღვაში წარმოიქმნეა
   ბ) მთებში წარმოიქმნება
   გ) პემზა ვულკანიდან წარმოიქმნება

5. რომელი წინადადებაა სწორი:
   ა) პემზა ვულკანიდან ქაფის სახით ამოდის
   ბ) პემზა ლავის ნაკადში ტივტივებს
   გ) პემზა წყალში იძირება.

დანართი N5

საკითხავი ტექსტი

ერთი გემი

ეზოში დიდი აუზი გააკეთეს, შუაში შადრევანი ჩქეფდა. პირამდე სავსე აუზი ბავშვებს ძალიან მოეწონათ. ერთ დღეს მიხამ ქაღალდის გემი გააკეთა და წყალში გაუშვა. მიხას მიბაძა სოსომ, რეზომ და თამაზმა, - მთელი აუზი ქაღალდის გემებით დაფარეს.

- ასე, როგორ შეიძლება? - გაბრაზდა მეეზოვ,ე ძია პეტრე, - ამ ქაღალდებს ვეღარ ამოიღებთ, დალპება, გაბინძურდება წყალი.
- ბიჭებო, ქაღალდის გემების გაშვება თუ არ შეიძლება, აი, მე რას გავუშვებ! - დაიძახა მიხამ, როცა წყალი ამოასუფთავა ძია პეტრემ და წავიდა. მან ჯიბიდან ბრტყელი ნაფოტი ამოიღო, ზედ პაწია კენჭი დაადო და წყალში შეაცურა. სხვებიც ასე მოიქცნენ, ზოგმა გატეხილი სახაზავი მოიტანა, ზოგმა ფოთოლი. ერთ წუთში ისევ მოიფინა აუზი სხადასხვანაირი „გემებით“.

მეეზოვემ ისევ წაასწრო აუზთან გოგო-ბიჭებს, მიხას სტაცა ხელი და გაბრაზებულმა უთხრა:

- აბა, ერთი უყურე რას ჰგავს აუზი, რატომ აბინძურებთ? არა ჯობია სუფთა იყოს?
- ჯობია,- წაიბუტბუტა შეშინებულმა ბიჭმა.

მაშინ მოიფიქრეს რომ ერთი ხის გემი აეგოთ და იქნებოდა ყველასი. ასეც მოიქცნენ. ამის შემდეგ აუზში დაცურავდა ერთი გემი და იგი ყველასი იყო.

დანართიN6

შემაჯამებელი ტესტი

ბალახის სიმღერა

რისი მაქნისი ვარ? - გავიფიქრე ერთხელ, - ვისაც როგორ უნდა, ისე მთელავს. არავინ იწუხებს თავს ჩემთვის. ისე ამოვალ დედამიწიდან და ისე ჩავხმები, სამადლობელსაც არ მეტყვიან. მსხმოიარე ხეს კი ზედ დაჰხარიან, უვლიან, შიშობენ არ გახმესო. ნაყოფს დაისხამს და ოჰ, როგორ უხარიათ ბავშვებს!

მე კი, რა ვარ? ნეტავ ხედ მაინც გავჩენილიყავი!

ერთხელ თვალები დავხუჭე და წუთით წარმოვიდგინე, ვიტომ ბალახი კი არა, ხე ვიყავი... გახარებულს ტოტები მინდოდა შემერხია, ფოთლები ამეცეკვებინა, მაგრამ ნახირის ზმუილი შემომესმა და გავირინდე. ძირს ჩამოვიხედე, ბალახის ნასახი არსად ჩანდა, მიწა მოტიტვლებულიყო, სილამაზე დაჰკარგვოდა, ფერდებჩაცვივნული, მშიერი ნახირი საცოდავად დალასლასებდა. გახრიოკებულ ველზე ბებერი ლოდი აყუდებულიყო და გაშტერებული ბუბუნებდა: „საოცრებაა, მწყემსებმა საიალაღო ადგილები დაიარეს და საბალახო ვერ იპოვეს. გაწყდება ცხვარ-ძროხა!..“

დედამიწა ჩანაცრისფერებულიყო. მთები და სერები მწვანედ აღარ ხასხასებდნენ. პეპლები უხალისოდ აფარფატებდნენ ფრთებს. ფრინველები მობუზულიყვნენ. წიფობელა ნაღვლობდა: - ვეღარ გავგორდები ველზეო. დაღონებულიყო რქებბორჯღალა ირემი. ბებერ ლოდთან საბრალო კურდღელი დაყუნცულიყო, ყურები აეცქვიტა, თვალები დაეჭყიტა და, მშიაო, წუწუნებდა.

დედაბრები სამკურნალო ბალახს დაეძებდნენ. ვერ პოულობდნენ და... ღმერთო, რა გვეშველებაო, ვიშვიშებდნენ.

ავფორიაქდი. ტოტები დაბლა დავუშვი და მეც არ ვიცი, როგორ, ცრემლები ჩამომცვივდა. სული ყელში მომებჯინა:

- აღარ მინდა ხედ ყოფნა, აღარ! - წამოვიძახე და თვალები გავახილე... მდელოზე ნახირი გამოფენილიყო და ბალახს ძოვდა. მწყემსი გულარხეინად იდგა და ბიბინა მთა-ველს გასცქეროდა. ღაღანა ყვავილებში ჩიტები ჟღურტულებდნენ. კურდღელი ბებერ ლოდს ამოფარებოდა და ამოჩუქჩუქებულ ბალახს შეექცეოდა...

და მაშინ, როცა მდელოზე ფეხშიშველა პაწია გოგომ გამოიტანტალა, წვიმის ცვრით წვივები დაინამა და გადაიკისკისა, ბატკნიყურას, მრავალძარღვას, ორფოთოლას, მატიტელას გადავძახე: - ჰეი. ბიჭებო,თავი წამოსწიეთ-მეთქი.

და ავმღერდი.

მზეკაბანმა დაუარა ველს და მინდვრის დიდმა ქარებმა აიტაცეს ჩემი სიმღერა.

ბალახის სიმღერა...

და იცით? აღარასოდეს მინატრია მსხმოიარე ხედ ყოფნა...

მას მერე ვმღერი, ვმღერი ბედნიერი და მინდვრის დიდ ქარებს კიდით კიდემდე მიაქვთ ჩემი ხმა.

გუგული ტოგონიძე

შემოხაზე სწორი პასუხები

1. ვინგვიამბობს ამბავს?

   ა) ბალახი ბ)დიდი ხეები გ) მეზღაპრე

2. ვისი შურს ბალახს?

   ა) წყაროსი ბ) მსხმოიარე ხის გ) მიწის

3. ოცნებაში რა წარმოიდგინა ბალახმა?

   ა) ვითომ ღრუბელი იყო ბ) ვითომ აგდამიანი იყო გ) ვითომ ხე იყო

გაეცი პასუხი მოცემულ კითხვებს და ჩაწერე:

1) ამ მოთხრობის მიხედვით, ვინ და რა დაანაღვლიანა ბალახის გაქრობამ?

---

2) რა საჭირო ყოფილა ბალახი?

---

3) რატომ არასოდეს უნატრია ბალახს მსხმოიარე ხედ ყოფნა?

---

4) ამოწერე, როგორ გამოხატავს ბალახი ბედნიერებასა და სიხარულს:

რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წელს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თემაზე: „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების გზების ძიება III- IV კლასებში.

კვლევის მიზანი იყო: წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების შემაფერხებელი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და შედეგის გაუმჯობესება, მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავება.

კვლევის საჭიროება განაპირობა მისმა აქტუალობამ და აგრეთვე სადიაგნოსტიკო ტესტის ჩატარებამ.

კვლევის ფარგლებში მოსწავლეებმა და მშობლებმა გააცნობიერეს, რომ აზროვნების, ანალიზისა და მსჯელობის უნარების განსავითარებლად აუცილებელია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა.

კვლევის განხორციელებით უმეტესმა მოსწავლეებმა შეძლეს ნებისმიერი შინაარსის და სიდიდის ტექსტის წაკითხვა და გაგება. გამოუმუშავდათ გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევები.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა სასარგებლოა მასწავლებლებისთვისაც, ისინი იხელმძღვანელებენ და მოაგვარებენ კითხვასთან დაკავშირებულ პრობლემებს თავიანთ კლასში.

კვლევის დასრულების შემდეგ შედეგი გავუზიარე კოლეგებს პრეზენტაციის სახით. შეხვედრას ესწრებოდნენ: დირექტორი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები. პედაგოგთა დაინტერესება განაპირობა ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, რომლებიც იკვეთება ყველა კლასში.

პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა მსჯელობა, თუ რა იყო გააზრებულ კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების გამომწვევი მიზეზები. აღნიშნეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ კვლევის მიგნებებს და რეკომენდაციებს. კოლეგებისგან მივიღე საინტერესო რჩევები, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებ მომავალში.

ამ ეტაპზე მე, როგორც მკვლევარი მასწავლებელი, კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი და ვაწარმოე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. დავრწმუნდი, რომ კვლევა ხელს უწყობს კარიერულ წინსვლას, რათა ლიტერატურის გაცნობამ აღმომაჩენინა უამრავი მეთოდი, რომელსაც გამოვიყენებ შემდგომ სასწავლო პროცესში.